ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №122

ქ. ქუთაისი

16 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ შპს „მგა მოტორსი" ს/ნ 412670587 დირექტორის ივერი ნერგაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ბალანსზე რიცხული ავტომობილისათვის OPEL (IBG778) დაზიანებული ძრავის აღდგენის მომსახურეობის შესყიდვა (CPV კოდი 50112000) (შემდგომში მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 612 (ექვსას თორმეტი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისი, ნიკეას 5 ჩიხი #1ა

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

---

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი: ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“	მიმწოდებელი: შპს „მგა მოტორსი“
მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ#3 საიდენტიფიკაციო კოდი 412675396	მის.: ქ. ქუთაისი, ნიკეას 5 ჩიხი #1ა საიდენტიფიკაციო კოდი 412670587 „თი ბი სი ბანკი“
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა GE42TB7758636120100001
_____	_____
დირექტორი: ნანა ლორთქიფანიძე	დირექტორი: ივერი ნერგაძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქუთაისი 20 სექტემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა - ბაღების გაერთიანება" (შემდგომში "შემსყიდველი")წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მგა მოტორსი" ს/ნ 412670587 დირექტორის რამინ ასათიანის სახით, ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 16 სექტემბბრის №122-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, შემსიყველის მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყო ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" კუთვნილი ავტომობილის Opel Astra H (სახ ნომ #IBG-778) ნაწილებისა და თანმდევი მომსახურეობის შესყიდვა.

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი
წყლის ტუმბო	ცალი	1	150	150
ზეთის ფილტრი ASTRA F, ASTRA G, CALIBRA, COMBO, CORSA.	ცალი	1	8	8
ზეთის ძრავის SwdRheinol Promotol GD 10W-40 (4 L)	ცალი	1	52	52
გერმეტიკი victor reinz	ცალი	1	15	15
ძრავის ხუფის საფენი	ცალი	1	75	75
ანთების სანთელი +9	ცალი	4	8	32
ზეთის წნევის სენსორი (წვრილი) CORSA C (00->) / CORSA D (06->) /	ცალი	1	15	15
ძრავის საფენების კომპლექტი	ცალი	1	145	145
ძრავის წინა ჩობალი (42x55x7)	ცალი	1	25	25
კარტერის საფენი	ცალი	1	25	25
ძრავის მასრის საფენი	ცალი	1	30	30
ხელის მუხრუჭის გვარლი OPEL ASTRA(მეორადი)	ცალი	1	40	40

მომსახურეობის ღირებულებაა 612 (ექვსას თორმეტი)ლარი.
აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

ივერი ნერგაძე ნანა ლორთქიფანიძე